ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 48

"2" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

შპს "სინათლის ქალაქის" კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის შპს „სინათლის ქალაქის" ადმინისტრაცია 17/02/2015 წლის №ფ-02/101 განაცხადით (რეგისტრაციის №07/1673-8) აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 2 509 ერთეული გარე განათების კონსტრუქცია საჭიროებს ხარისხიანი საღებავით გადაუდებელ სამღებრო სამუშაოების ჩატარებას მათი ექსპლუატაციის ვადის გასახანგძლივებლად და ამ მიზნით კოპმპანიის ადმინისტრაციამ წარმოადგინა ჩასატარებელი სამღებრო სამუშაოების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და ითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისაგან ხსენებულ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული თანხის კომპანიისთვის გადაცემა. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, 2 509 ერთეული გარე განათების კონსტრუქციაზე გადაუდებელ სამღებრო სამუშაოებისთვის საჭირო დაფინანსების წყაროს მოძიება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9[1] მუხლის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის საფუძველზე,

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 2 509 ერთეული გარე განათების კონსტრუქციის, დანართი 1-ით გათვალისწინებული სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით, გადაუდებელი სამღებრო სამუშაოებისთვის საჭირო 207 793 (ორასშვიდი ათას შვიდასოთხმოცდაცამეტი) ლარის ოდენობით მოძიებული ფინანსური რესურსის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით „გარე განათების ქსელის

ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის ღონისძიებების პროგრამისთვის", კოდი 2.5, გათვალისწინებულ ასიგნებებში) შპს „სინათლის ქალაქის" (ს/კ 406038684) კაპიტალში ფულადი შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

სამუშაოთა მოცულობის ანალიზი

2015 წელი

№	ქუჩების დასახელება	ბოძები (ცალი)	შესაღები ფართი (მ^2)	მასალა (ლარი)	ხელფასი (ლარი)	მანქანა მექანიზმი (ლარი)	ჯამი
1	ჭავჭავაძის გამზირი	157	1285.00	5274.22	6140.97	163.32	11578.51
2	ვარაზისხევი	26	206.18	845.73	984.71	26.19	1856.63
3	თამარაშვილის ქუჩა	113	866.71	3555.16	4139.40	110.09	7804.64
4	ჩქაროსნული გზა	113	611.20	2507.08	2919.08	77.64	5503.80
5	გ. წერეთლის ქუჩა	14	114.70	470.49	547.81	14.57	1032.86
6	ჩოლოყაშვილის ქუჩა	75	614.25	2519.59	2933.65	78.02	5531.27
7	ყაზბეგის გამზირი	163	1237.20	5074.87	5908.85	157.15	11140.87
8	პეკინის ქუჩა	115	782.00	3207.69	3734.82	99.33	7041.84
9	ვაჟა-ფშაველას გამზირი	304	2750.80	11283.51	13137.79	349.41	24770.70
10	გაგარინის ქუჩა	51	321.30	1317.94	1534.52	40.81	2893.28
11	მარჯვენა სანაპირო	93	483.60	1983.68	2309.67	61.43	4354.77
12	კოსტავას ქუჩა	95	1439.60	5905.10	6875.51	182.86	12963.47
13	გელოვანის გამზირი	70	581.00	2383.20	2774.85	73.80	5231.85
14	ბაქრაძის ქუჩა	65	403.00	1653.07	1924.72	51.19	3628.98
15	აღმაშენებლის ხეივანი	509	3317.00	13606.00	15841.95	421.33	29869.28
16	კახეთის გზატკეცილი	181	3756.00	15406.74	17938.61	477.09	33822.44
17	მელიქიშვილი გმირთა	52	489.66	4288.88	6303.21	150.08	10742.17
18	რუსთაველი. ვარდების მოედანი	95	1335.41	4847.54	7124.25	169.63	12141.42
19	ავლაბარი ბარათაშვილი	148	1181.51	4288.88	6303.21	150.08	10742.17
20	ლეხ კაჩინსკი	70	565.51	2052.80	3016.93	71.83	5141.56
		2509	**22341.63**	**92472.17**	**112394.51**	**2925.85**	**207792.51**